თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარის

ნინო ვარდოსანიძის

ანგარიში

შინაარსი

1. თბილისის მუნიციპალიტეტის VII მოწვევის საკრებულო 2
2. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია 3
3. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის საქმიანობა საანგარიშო პერიოდში 4
3.1 მნიშვნელოვანი აქტივობები 5
3.1.1. სახელმწიფო დროშის დღე 5
3.1.2. 25 თებერვალი 6
3.1.3. 9 აპრილი 7
3.1.4. 8 აგვისტო 7
3.1.5. ქართველი შინდლერების პარკის სახელდება და მემორიალის გახსნა 8
3.2. გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკის გატარება სახელდების პროცესში 9
3.3. არსებული გეოგრაფიული ობიექტების ინვენტარიზაცია 10
4. თანამშრომლობის და გამჭვირვალობის პოლიტიკა 10
4.2. მოქალაქეებთან ურთიერთობა 10
4.3. თანამშრომლობა სხვადასხვა ორგანიზაციებთან და უწყებებთან 11
4.4. თანამშრომლობა თბილისის მერიის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსთან 12
4.5. თანამშრომლობა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან 12
4.6. თანამშრომლობა ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურთან 13
4.7. თანამშრომლობა ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურთან 13
5. საერთაშორისო ურთიერთობები 13
6. სამომავლო გეგმები 15
7. საქმიანობა გარემოს დაცვის კომისიაში 15
8. საქმიანობა გენდერული თანასწორობის საბჭოში 16
9. საქმიანობა ფრაქციაში „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ 16
10. დანართი: 17

1. თბილისის მუნიციპალიტეტის VII მოწვევის საკრებულო

საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება პირდაპირი, საყოველთაო და ფარული კენჭისყრის საფუძველზე, თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე მცხოვრები ხმის უფლების მქონე საქართველოს მოქალაქეების მიერ არჩეული წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების მიერ, ოთხი წლის ვადით.

თბილისის თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოა თბილისის საკრებულო, რომელიც უფლებამოსილებებს ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, საკრებულოს რეგლამენტის, სხვა კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების მოთხოვნათა შესაბამისად.

2021 წლის 2 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებზე ამომრჩევლებმა ოთხი წლის ვადით აირჩიეს დედაქალაქის საკრებულოს 50 წევრი, აქედან 40 წევრი - პროპორციული წესით თბილისის მთელ ტერიტორიაზე, ხოლო 10 - ადგილობრივი ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების ტერიტორიაზე.

2021 წლის 3 დეკემბერს ჩატარდა თბილისის VII მოწვევის საკრებულოს პირველი სხდომა.

VII მოწვევის საკრებულოში ფუნქციონირებს 11 მუდმივმოქმედი კომისია:

- სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია
- განათლებისა და კულტურის კომისია
- იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია
- ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისია
- სატრანსპორტო საკითხთა კომისია
- გარემოს დაცვის კომისია
- სარევიზიო კომისია
- ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისია
- სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია
- ეკონომიკური განვითარების საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისია
- ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

4 ფრაქცია:

- ფრაქცია ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო
- ფრაქცია ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
- ფრაქცია თბილისი საქართველოსთვის
- ფრაქცია ლელო-პარტნიორობა თბილისისათვის

ნინო ვარდოსანიძე არჩეულია სახელდებისა და სიმბოლოკის კომისიის თავმჯდომარედ და გარემოს დაცვის კომისიის წევრად. ნინო ვარდოსანიძე არის ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს წევრი და გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, მუნიციპალიტეტის საკრებულოს 15 სხდომა ჩატარდა. საკრებულოს მიერ მიღებული იქნა 113 დადგენილება და 649 განკარგულება.

საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შედეგად დედაქალაქში მიმდინარეობს მნიშვნელოვანი პროექტებისა და ღონისძიებების განხორციელება ურბანული დაგეგმარების, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის, ტრანსპორტის, ეკოლოგიისა და გამწვანების, განათლების, კულტურის, სპორტის და სხვა პრიორიტეტების მიმართულებით.

2. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული გეოგრაფიული ობიექტების სახელდება. კოდექსის მიხედვით, გეოგრაფიული ობიექტების სახელდებას და მუნიციპალიტეტის სიმბოლოების დადგენას ახორციელებს მუნიციპალიტეტის საკრებულო.

გეოგრაფიული ობიექტების სახელდების, თბილისის დროშის, გერბის და სხვა სიმბოლოების დადგენის მიზნით თბილისის საკრებულოში შექმნილია სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია.

კომისიის პერსონალური შემადგენლობა დაკომპლექტებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებისგან. კომისიის უფლებამოსილება და სხდომების პერიოდულობა განსაზღვრულია კანონმდებლობით, კომისიის დებულებითა და გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ დამტკიცებული წესით. ხსენებული წესი განსაზღვრავს როგორც სახელდების განხორციელების პროცედურულ, ისე მიზანშეწონილობის დადგენისა და სახელწოდების შერჩევის პროცედურებს.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ, როგორც დროებითმა სამუშაო ჯგუფმა საკრებულოში ფუნქციონირება 2006 წელს დაიწყო. სამუშაოების მოცულობის და მზარდი მომართვიანობის გათვალისწინებით 2010 წელს მიღებული იქნა გადაწყვეტილება მის მუდმივმოქმედ კომისიად ჩამოყალიბების თაობაზე. 2010 წლიდან დღემდე, კომისიამ 7000-ზე მეტი წერილობითი განცხადება განიხილა, რომელთა უმრავლესობა ერთობლივი ხასიათის იყო და მას არაერთი მოქალაქე აწერდა ხელს.

3. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის საქმიანობა საანგარიშო პერიოდში

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის ახალმა პერსონალურმა შემადგენლობამ სამუშაო პროცესი VII მოწვევის საკრებულოს უფლებამოსილების ცნობის მომენტიდან დაიწყო. კომისიის პირველი სხდომა 2021 წლის 15 დეკემბერს ჩატარდა.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩატარდა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის 11 სხდომა, სადაც 212 საკითხი იქნა განხილული. 2021 წლის დეკემბრიდან 2022 წლის ოქტომბრის პერიოდში, თბილისის საკრებულოს მიერ სახელდების თაობაზე 94 ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი - განკარგულება (იხ. დანართი) იქნა გამოცემული, რაც საკრებულოს მიერ მიღებული განკარგულებების 13 პროცენტია.



სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია საკითხის შესწავლის და დამუშავების შემდგომ, ინიციატივას ამზადებს როგორც დაინტერესებული მხარეების მომართვის, ისე საკუთარი ინიციატივით.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კომისიას 200-ზე მეტი განცხადება წარედგინა. დაინტერესებულ პირთა მომართვიანობა ძირითადად უსახელო გეოგრაფიული ობიექტების სახელდებას, ობიექტისთვის სახელმწიფო ან საზოგადო მოღვაწის სახელის მინიჭებას და მისამართის დაზუსტებას შეეხებოდა.

გარდა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მიღებული წერილებისა, კომისიის მიერ დამუშავდა ისეთი კორესპონდენციები, რომელთა საფუძველზეც ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი 2021 წლის დეკემბრამდე დაიწყო.

3.1 მნიშვნელოვანი აქტივობები

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია უფლებამოსილების განხორციელების პროცესში მუდმივად ახორციელებს თბილისის ურბანულ გარემოში საქართველოს სახელმწიფოს ერთიანი პოლიტიკის გატარებას, სამშობლოს დაცვის, განათლების, კულტურის, სპორტის და სხვა სფეროს ღვაწლმოსილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეების სახელების სათანადო უკვდავყოფის გზით.

საქართველოს სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი მთავარი ატრიბუტი სახელმწიფო სიმბოლიკაა. ამდენად, კომისიის განსაკუთრებული პრიორიტეტია სახელმწიფო დროშის დღის აღნიშვნა. კომისიისთვის ასევე მნიშვნელოვანია ისეთი თარიღების გახსენება, როგორიცაა 9 აპრილი, 8 აგვისტო და სხვა.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კომისიამ იმუშავა თბილისში არსებული გეოგრაფიული ობიექტებისთვის ისეთი საზოგადო მოღვაწეების სახელების მინიჭებაზე, როგორებიც არიან: **ანზორ ერქომაიშვილ, რეზო გაბრიაძე, გია ყანჩელი, გიგა ბათიაშვილი, გურამ დოჩანაშვილი, გურამ საღარაძე, დავით წერედიანი, გომარ სიხარულიძე, ჯემალ ჭკუასელი, კუკური ჭოხონელიძე, ზურაბ ბაკურაძე, თემურ წიკლაური, ნუგზარ აფხაიძე, ავთანდილ შარვაძე, ოდისეი დიმიტრიადი, ლევან ალექსიძე, ჯანსუღ კორძაია და სხვები.** უმეტეს შემთხვევაში სახელდების პროცესი უკვე დასრულებულია, ხოლო რამდენიმე საკითხზე ამ დრომდე მიმდინარეობს კანონით გათვალისწინებული პროცედურები.

3.1.1. სახელმწიფო დროშის დღე

14 იანვარი საქართველოს სახელმწიფო დროშის დღეა. თარიღი სიმბოლურად საქართველოს სახელმწიფო დროშის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მიღებას დაუკავშირდა.

ყოველი წლის 14 იანვარს, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოსთან კოორდინაციით, საქართველოს სახელმწიფო დროშას თბილისის საკრებულოს შენობის ისტორიული აივნებიდან გადმოჰფენს.

2022 წელს, სპეციალურად ამ დღისთვის, კომისიამ დროშის გამოყენებისა და მნიშვნელობის შესახებ საინფორმაციო ბარათები მოამზადა. ბარათები, დროშის გამოსახულების მქონე პირბადეებთან და მცირე ზომის დროშებთან ერთად მოქალაქეებს დაურიგდათ.

3.1.2. 25 თებერვალი

1921 წლის 25 თებერვალს თბილისი რუსულმა მე-11 წითელმა არმიამ დაიკავა, რასაც ქვეყნის სრული ოკუპაცია და იძულებითი გასაბჭოება მოჰყვა. ყველასათვის ცნობილია, თუ რამხელა წინააღმდეგობა გაუწიეს დამპყრობლებს სამხედრო სკოლის ოფიცრებმა და იუნკერებმა, რომლებიც თბილისს კოჯორ-ტაბახმელას მისადგომებიდან იცავდნენ.

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია, ყოველწლიურად, თბილისის სხვადასხვა გეოგრაფიულ ობიექტს იუნკერების სახელებს ანიჭებს. 2022 წლის 25 თებერვალს, კოჯრის მისადგომებთან იუნკერის, მაკარ ბურჭულაძის სახელობის ქუჩა გაიხსნა. გახსნის ღონისძიებას თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე, საქართველოს პარლამენტისა და საკრებულოს წევრები, ვეტერანების სამხედრო სამსახურის თავმჯდომარე, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის წარმომადგენლები და ქუჩის მაცხოვრებლები ესწრებოდნენ.

3.1.3. 9 აპრილი

1989 წლის 9 აპრილი საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ტრაგიკული დღეა. რუსთაველის გამზირზე თავგანწირული ბრძოლის შედეგად საქართველოს მოქალაქეებმა დამოუკიდებლობა მოიპოვეს. საქართველოს უზენაესმა საბჭომ 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი მიიღო.

2022 წლის 9 აპრილს, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის ინიციატივით განხილული იქნა დედაქალაქის რამდენიმე რაიონში 9 აპრილს დაღუპული გმირების: **ნინო თოიძის, ნატო გიორგაძის, ვენერა მეტრეველის, აზა ადამიას, მარინა ჭყონია-სამარგულიანის, ნანა სამარგულიანის, ზაირა კიკვიძის, ნოდარ ჯანგირაშვილის, მამუკა ნოზაძის და შალვა ქვასროლიაშვილის** სახელობის ქუჩების სახელდების საკითხები.

საკითხების განხილვის პროცესს გმირების ოჯახის წევრები და ახლობლები ესწრებოდნენ. ხსენებული სახელდების შედეგად, თბილისში 9 აპრილს დაღუპული ყველა გმირის სახელობის გეოგრაფიული ობიექტი არსებობს.

3.1.4. 8 აგვისტო

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია განსაკუთრებული მნიშვნელობით იხსენებს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში გმირულად დაღუპულ ქართველ მებრძოლებს. თითოეული ჯარისკაცის უკან გამორჩეული თავდადება და გმირობის მთელი ისტორიაა. მნიშვნელოვანია, რომ მათი გმირობა და სახელები სათანადოდ იყოს დაფასებული და უკვდავყოფილი.

2022 წლის 8 აგვისტოს, კომისიის ინიციატივით, თბილისში არსებულ 12 გეოგრაფიულ ობიექტს ომში გმირულად დაღუპული მებრძოლების სახელები ეწოდა. მათ შორისაა, ეროვნული გმირების, **გიორგი ანწუხელიძის** სახელობის სკვერი და **ალექსანდრე ონიანის** ქუჩა.

გარდა მებრძოლებისა, კომისიამ საკრებულოს წინაშე დააყენა ინიციატივა ქუჩებისთვის ომში გარდაცვლილი ჟურნალისტის **გიგა ჩიხლაძის**, ფოტორეპორტიორის **ალექსანდრე კლიმჩუკის** და ჰოლანდიელი ტელეოპერატორის **სტან სტორიმანსის** სახელების მინიჭებასთან დაკავშირებით.

კომისიის ინიციატივით განხორციელდა, ომში პროფესიული მოვალეობის სესრულების დროს დაღუპული ერთადერთი ქალის, **ნატალია სამქანაშვილის** ქუჩის სახელდება.

2022 წლის 8 აგვისტოს კომისიის სხდომას ომში დაღუპული მებრძოლებისა და ჟურნალისტების მშობლები, ოჯახის წევრები, მეგობრები და თანამებრძოლები ესწრებოდნენ. ღონისძიების პარალელურად საკრებულოში გამოიფინა ჯარისკაცების პირადი ნივთები, ჯილდოები და ომის ამსახველი ფოტოსურათები.

აგვისტოს საომარ მოქმედებებს საერთო ჯამში 184 ქართველი მებრძოლი ემსხვერპლა. 27 მათგანის სახელობის გეოგრაფიული ობიექტი თბილისში სხვადასხვა პერიოდშია სხელდებული. 2022 წლიდან კი, სიას 15 გმირის სახელობის ქუჩა შეემატა და ეს პროცესი შეუქცევადად გაგრძელდება.

3.1.5. ქართველი შინდლერების პარკის სახელდება და მემორიალის გახსნა

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარის ნინო ვარდოსანიძის, საკრებულოს სამგორის მაჟორიტარი წევრის, რევაზ სოხაძისა და ებრაული დიასპორული ორგანიზაციების აქტიური თანამშრომლობის შედეგად, სამგორის რაიონში ახლად რეაბილიტირებულ პარკს ქართველი შინდლერების სახელი მიენიჭა. ისრაელის სახლის ფინანსური მხარდაჭერით, პარკში ქართველი შინდლერების ხსოვნის მემორიალი დაიდგა. მემორიალისა და პარკის გახსნა ისრაელის პარლამენტის წევრებისა და სხვა ოფიციალური პირების მონაწილეობით განხორციელდა.

3.2. გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკის გატარება სახელდების პროცესში

2022 წლის განმავლობაში სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს თბილისის ურბანულ გარემოში გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკის გატარება წარმოადგენდა. ქალაქში არსებული დისბალანსის აღმოფხვრის მიზნით, კომისიამ საანგარიშო წლის განმავლობაში საარქივო მონაცემებზე დაყრდნობით გამოკვეთა იმ ქალების ღვაწლი, რომელთა შესახებ ინფორმაციაც ფართო საზოგადოებაში მივიწყებულია და მათი სახელები თბილისის ქუჩებს მიანიჭა. აღნიშნული პროცესი აქტიურად გაგრძელდება.

კომისიის ინიციატივით თბილისის ქუჩებს შეემატა: პირველი ქართველი ქალი მფრინავის, **ფადიკო გოგიტიძის**, 2008 წლის აგვისტოს ომში გორის სამხედრო ნაწილის დაბომბვისას დაღუპული **ნატალია სამქანაშვილის**, პოეტის, **მარიკა ბარათაშვილის**, საზოგადო მოღვაწის, **სოფიო ყულოშვილის** და 1989 წლის **9 აპრილს დაღუპული ქალების** სახელები.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში განხორციელებული სახელდებების შედეგად, თბილისის ქუჩებს, დაახლოებით, **22% ქალის**, ხოლო **78% კაცის** სახელი მიენიჭა.



3.3. არსებული გეოგრაფიული ობიექტების ინვენტარიზაცია

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ გეოგრაფიული ობიექტების სრული ინვენტარიზაციის პროცესი დაიწყო. საკადასტრო ერთეულების დონეზე, რაიონების მიხედვით დამუშავდა თბილისში არსებული რეკრეაციული სივრცეები. ჩატარდა მინიჭებული სახელწოდებების აღწერა და გამოიკვეთა ისეთი დასახელებები, რომელთა შეცვლაზე მსჯელობაც მიზანშეწონილია სახელდების წესის კონკრეტული მუხლების შესაბამისად.

დაიწყო ნაძალადევის, ისნისა და სამგორის რაიონებში არსებული გზათა ქსელების და ქუჩების გავრცელების არეალების შესწავლა. საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან ერთად გამოიკვეთა ქუჩები, რომელთა დამისამართებაც შეუძლებელია ფაქტობრივი გარემოებების გამო და ადგილზე აუცილებელია ცვლილებების განხორციელება.

დაიწყო და აქტიურად მიმდინარეობს საზოგადო მოღვაწეთა და სხვა დამსახურებულ პირთა რეესტრის შექმნა, ვისი სახელობის ობიექტიც თბილისში ამ დრომდე არ არის.

4. თანამშრომლობის და გამჭვირვალობის პოლიტიკა

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია საქმიანობის განხორციელების პროცესში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს თანამშრომლობას საზოგადოებასთან და ისეთ უწყებებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, რომლებიც პირდაპირ ან ირიბ შემხებლობაში არიან კომისიის უფლებამოსილების ჩარჩოსთან.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შენარჩუნდა და სისტემური ხასიათი მიიღო პარტნიორობა ისეთ უწყებებთან, როგორებიც არიან: საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, თბილისის მერიის სამსახურები, საქართველოს ეროვნული არქივი, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური, ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო და სხვა.

4.2. მოქალაქეებთან ურთიერთობა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაინტერესებული პირებისა და მოქალაქეების ჩართულობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. კომისია აცნობიერებს საჯაროობისა და ჩართულობის მნიშვნელობას ქვეყანაში კარგი მმართველობის პრინციპების განსამტკიცებლად. საქართველოს კონსტიტუცია, ადგილობრივი თვითმმართველობების ევროპული ქარტია და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები პირდაპირ და ირიბად მოიაზრებს მოქალაქეთა

უფლებას, მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო საქმეების წარმართვაში. აღნიშნული წარმოადგენს ძირეულ დემოკრატიულ პრინციპს. ამ უფლების ყველაზე ეფექტურად რეალიზება კი ადგილობრივ დონეზეა შესაძლებელი.

ხსენებული გარემოებების გათვალისწინებით, გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესი, გარდა მოქალაქეთა მონაწილეობის კანონმდებლობით გაწერილი შესაძლებლობებისა, კომისიას დამატებით ავალდებულებს თითოეულ საკითხზე გადაწყვეტილება მიიღოს მხოლოდ საჯარო განხილვისა და საზოგადოებასთან კონსულტაციების გამართვის შემდეგ. ამ უფლების რეალიზებისთვის კომისიის სხდომათა დღის წესრიგი, შესაბამის მასალასთან ერთად, ქვეყნდება საჯაროდ, არანაკლებ 20 დღის ვადით და მხოლოდ ამის შემდგომ არის კომისია უფლებამოსილი მოიწვიოს სხდომა. ყველა დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს კომისიის სხდომაში. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კომისიამ ყველა საკითხი აღნიშნული პროცედურის დაცვით განიხილა. გარდა ამისა, ცალკეულ საკითხებზე განხილვები უშუალოდ იმ ტერიტორიებზე გაიმართა, სადაც სახელდება განხორციელდა.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ნებისმიერ მოქალაქეს ჰქონდა შესაძლებლობა დაუბრკოლებლად მიეღო ინფორმაცია. ამ შესაძლებლობით საერთო ჯამში დაახლოებით ასორმოცდაათმა ადამიანმა ისარგებლა.

მოქალაქეებთან ურთიერთობისთვის აქტიურად გამოიყენება სოციალური ქსელი და სატელეფონო ცხელი ხაზი. სოციალური ქსელის მეშვეობით, მოქალაქეები ყოველდღიურ რეჟიმში, სახლიდან გაუსვლელად იღებენ როგორც მათთვის საჭირო ინფორმაციას, ისე კომისიაში დაცულ განკარგულებებს. სატელეფონო კონსულტაციით, წლის განმავლობაში, 600-ზე მეტმა ადამიანმა ისარგებლა.

4.3. თანამშრომლობა სხვადასხვა ორგანიზაციებთან და უწყებებთან

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის უფლებამოსილების განხორციელების პროცესი გეოგრაფიული ობიექტების სახელდების მიმართულებით მოიცავს დამისამართებას და ქუჩისთვის სახელმწიფო/საზოგადო მოღვაწის ან ისტორიული მოვლენის/თარიღის და

ტოპონიმური სახელწოდების მინიჭებას. დამისამართების კომპონენტში კომისია აქტიურ კომუნიკაციაშია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან და მერიის შესაბამის სამსახურებთან ობიექტის ქალაქგეგმარებითი პარამეტრების განსაზღვრისა და სამისამართე აბრების განთავსების ნაწილში. სახელწოდების შერჩევის მიმართულებით კი კომისია პარტნიორობს სხვადასხვა უნივერსიტეტებთან, საქართველოს საპატრიარქოსთან, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან, ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურთან, საქართველოს ეროვნულ არქივთან, ეროვნულ ბიბლიოთეკასთან და სხვა საზოგადოებრივ ჯგუფებთან. მუნიციპალური სიმბოლოების დადგენის, გამოყენებისა და გამოსახვის წესების შემუშავების კომპონენტში კი, კომისია მუდმივ კომუნიკაციაშია საქართველოს პარლამენტთან არსებულ ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოსთან.

4.4. თანამშრომლობა თბილისის მერიის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსთან

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია საანგარიშო პერიოდის განმავლობაში აქტიურად თანამშრომლობდა მერიის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსთან. ერთობლივად განხორციელდა 60 ზე მეტი გეოგრაფიული ობიექტის განვითარების არეალის შესწავლა, საზღვრებისა და პარამეტრების დადგენა. ხსენებული სამსახურის მიერ მომზადდა შესაბამისი კარტოგრაფიული მასალები, რაც საკრებულოს მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტებს დაერთო.

4.5. თანამშრომლობა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამისამართო სამსახური კომისიის ერთ-ერთ მთავარ პარტნიორად მოიაზრება. უწყებასთან არსებული შეთანხმების შესაბამისად კვლავ გაგრძელდა ერთი ფანჯრის პრინციპით მუშაობა, რაც მოიაზრებს მოქალაქის მომართვის საფუძველზე უწყებების მიერ ინფორმაციის ელექტრონულად გაცვლას, დაინტერესებული პირის დამატებითი გადამისამართების და ბიუროკრატიული პროცედურების გარეშე.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სამისამართო სამსახურის მიერ დამისამართების თაობაზე წარმოდგენილ 4000-ზე მეტ განცხადებაზე მოხდა რეაგირება. ვინაიდან განცხადებათა რაოდენობა მოიცავდა სრული ქუჩის ნუმერაციას, წლის განმავლობაში მისამართი დაახლოებით 10 000 საკადასტრო ერთეულს მიენიჭა.

4.6. თანამშრომლობა ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურთან

თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით სამისამართე აბრების დამზადებისა და განთავსების მიმართულებით 500 000 ლარია გათვალისწინებული.

აბრის განთავსებამდე ხორციელდება ქუჩაზე არსებული საკადასტრო ერთეულების სისტემური ნუმერაცია. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია აქტიურ კომუნიკაციაშია მერიის ხსენებულ სამისამართო სამსახურთან. ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური ქუჩაზე აბრების განთავსების პროცესს იწყებს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიასთან შეთანხმებით. კომისია საანგარიშო პერიოდის განმავლობაში აქტიურად მონაწილეობდა იმ ქუჩების პრიორიტეტების განსაზღვრაში, სადაც აბრების მონტაჟი განხორციელდა. წლის განმავლობაში, საშუალოდ 100 გეოგრაფიულ ობიექტზე 9000-მდე აბრაა დამონტაჟებული.

4.7. თანამშრომლობა ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურთან

აფხაზეთის საომარ მოქმედებებში გარდაცვლილი სამხედრო მოსამსახურეების სახელდების მინიჭების მიმართულებით სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია აქტიურად თანამშრომლობს ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურთან. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კომისიის მიერ ინიცირებული იქნა 10 განკარგულების პროექტი, აფხაზეთში დაღუპულების სახელების უკვდავსაყოფად. ხსენებულ საკითხებთან დაკავშიებულ ყველა სხდომას ესწრებოდა ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის წარმომადგენელი. გარდა უშუალო ჩართულობისა სამსახური კომისიას უზრუნველყოფს საჭირო დოკუმენტური მასალით: საბრძოლო მოკვლევებით, გარდაცვალების დოკუმენტებითა და შესაბამისი რეკომენდაციებით. ვეტერანების სამსახურმა წლის განმავლობაში რამდენჯერმე მიმართა კომისიას საკუთარი ინიციატივით, თბილისში ქუჩებისთვის კონკრეტული სამხედრო მოსამსახურეების სახელების მინიჭების თხოვნით.

5. საერთაშორისო ურთიერთობები

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური მისიების წარმომადგენლობებთან და მუნიციპალიტეტის მერიის საგარეო ურთიერთობების განყოფილებასთან.

თანამშრომლობის ფარგლებში, თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ობიექტებს უცხო ქვეყანასთან დაკავშირებული სახელი ეწოდება, საპირწონედ, მოცემულ ქვეყანაში

საქართველოსთან ან თბილისთან დაკავშირებული სახელის მინიჭება ხორციელდება. თანამშრომლობის ფარგლებში არაერთ ქვეყანაში მოეწყო სხვადასხვა სივრცე ქართული თემატიკით და პირიქით. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კომისია მუშაობდა ესტონეთისა და საბერძნეთის რესპუბლიკის დიპლომატიურ მისიებთან სახელდების განხორციელების მიმართულებით.

გერონტი ქიქოძის ქუჩაზე, იქ სადაც საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის პირობებში ესტონეთის პირველი საკონსულო იყო, შენობის ფასადზე მემორიალური დაფა განთავსდა. ტალინში რამდენიმე წლის წინ მოეწყო ქართული სივრცე, რომელიც თბილისიდან გაგზავნილი საპარკე ინფრასტრუქტურითაა გაფორმებული. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია ესტონეთის რესპუბლიკის ელჩთან კომუნიკაციის პარალელურად აქტიურად მუშაობს თბილისში არსებული ერთ-ერთი სარეკრეაციო სივრცის ნაცვალგების პრინციპით სახელდების საკითხზე.

საბერძნეთის საელჩოსთან მუშაობით, ისნის რაიონში შეირჩა რეკრეაციული სივრცე, რომელსაც საბერძნეთის სკვერის სახელი მიენიჭა. სკვერის თემატური მოწყობა და განხსნა 2023 წელს დაიგეგმება და მასში აქტიურად იქნებიან ჩართული როგორც დიასპორული ორგანიზაციები, ისე საქართველოში აკრედიტირებული საბერძნეთის დიპლომატიური მისიის ოფიციალური პირები.



6. სამომავლო გეგმები

2023 წელს კომისია აქტიურ მუშაობას გააგრძელებს სახელდების მიმართულებით, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა, კულტურის, განათლების, მეცნიერების და სპორტის სფეროს მოღვაწეთა ღვაწლის უკვდავყოფის მიზნით. ასევე, გაგრძელდება პარტნიორობა საერთაშორისო მიმართულებით.

2022 წელს დაიწყო და აქტიური ლობირება გაგრძელდება googlemap-ზე ინფორმაციის პროაქტიულად განთავსების მიმართულებით. აქტიური ნაბიჯები გადაიდგმება თბილისის სიმბოლიკის დაზუსტების მიმართულებით. სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია გეგმავს მერიის შესაბამის სამსახურებთან ერთად იმსჯელოს ბაღების, პარკებისა და სკვერების აღმნიშვნელი აბრების ახალი დიზაინის შერჩევაზე. ყველა ქუჩის დასაწყისში ბიოგრაფიის შემცველი აბრის განთავსების პრაქტიკა მიიღებს სისტემურ ხასიათს. გამგეობებისა და მაჟორიტარობის ჩართულობით სინქრონულად დაიგეგმება რეაბილიტაციის პროცესში მყოფი სკვერების სახელდების პროცესი. ინვენტარიზაციის პროცესს დაემატება ახალი კომპონენტები, კერძოდ, სრულად მოხდება საქართველოს პარტნიორ ქვეყნებში არსებული ქართული თემატიკის მქონე ობიექტების აღწერა. დაიწყება მსჯელობა თბილისის ქუჩების ახალი ენციკლოპედიის შექმნასთან დაკავშირებით.

7. საქმიანობა გარემოს დაცვის კომისიაში

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გარემოს დაცვის კომისიის 17 სხდომა ჩატარდა, რომელზეც 116 საკითხი იქნა განხილული. ნინო ვარდოსანიძემ მონაწილეობა 14 სხდომის მუშაობაში მიიღო.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გარემოს დაცვის კომისიის მიერ მხარდაჭერილი იქნა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა:

- ✓ თბილისის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცება, სადაც გარემოს დაცვის მიმართულებით გათვალისწინებული იქნა 2021 წლის ბიუჯეტზე მკვეთრად მეტი, 167 317 100 ლარი, ხსენებული თანხები მ/წლის ოქტომბერში კვლავ გაიზარდა 1 020 000 ლარით.
- ✓ დამტკიცდა მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესი. წესმა დაარეგულირა მწვანე ნარგავების ჭრის საკითხები, გამკაცრდა სანქციები უნებართვოდ ნარგავების ჭრაზე.
- ✓ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა სარეკრეაციო სივრცეების რეაბილიტაციისა და ახალი პარკების მშენებლობის მიმართულებით.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გარემოს დაცვის კომისიის წევრებმა შეხვედრები გამართეს მუნიციპალური ინსპექციის, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის, ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს, არქიტექტურის სამსახურის, „თბილსერვის ჯგუფის“ წარმომადგენლებთან, მიმდინარე და განხორციელებულ სამუშაოებთან დაკავშირებით.

8. საქმიანობა გენდერული თანასწორობის საბჭოში

2022 წლის 28 იანვრიდან 2022 წლის პირველ ნოემბრამდე გენდერული თანასწორობის საბჭოს 7 სხდომა და არაერთი სამუშაო შეხვედრა/აქტივობა გაიმართა. სხდომებზე დღის წესრიგით გათვალისწინებული 11 საკითხი იქნა განხილული, რომელთაგან აღსანიშნავია გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ გენდერული პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული სტრატეგიის 2022-2025 წლების სამოქმედო გეგმის მომზადება, ძუძუს კიბოს პრევენციის მიზნით დაგეგმილი აქტივობები. ასევე, საბჭომ არაერთი ღონისძიება განახორციელა უკრაინელი ოჯახების დასახმარებლად. საბჭოს საქმიანობა და განხორციელებული აქტივობები გენდერული თანასწორობის იდეის ინსტიტუციურ გაძლიერებას ემსახურება.

9. საქმიანობა ფრაქციაში „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს 23 სხდომა გაიმართა. ნინო ვარდოსანიძემ მონაწილეობა 20 სხდომის მუშაობაში მიიღო. ფრაქციის წევრებმა დღის წესრიგით გათვალისწინებული 42 საკითხი განიხილეს.

ორგანიზაციული საკითხების გარდა, განხილულ საკითხთა შორის აღსანიშნავია:

- ✓ დედაქალაქში სატრანსპორტო მიმართულებით არსებული გამოწვევები;
- ✓ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის საქმიანობის ანგარიში;
- ✓ დაგეგმილი პროექტები (ზღვის უბნის პარკი, ვარკეთილის ხევი; ციციშვილის, სარაჯიშვილის, ლიბანის, ფარნავაზის ქუჩებზე სკვერები, მეტეხის ფერდის და გეგეშიძის პარკის რეაბილიტაცია);
- ✓ დედაქალაქში დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები;
- ✓ ავარიული კორპუსების ჩანაცვლების პროგრამა.

10. დანართი:

2022 წელს მინიჭებული სახელები

1. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ლეო კვაჭაძის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის ლეო კვაჭაძის II ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ.ქ
2. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, წყნეთში, მიხეილ ჯავახიშვილის ქუჩასთან არსებული უსახელო გასასვლელისთვის მიხეილ ჯავახიშვილის I გასასვლელის სახელის მინიჭების შესახებ.
3. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, წყნეთში, მძლეთის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის მძლეთის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ
4. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ავეტიკ ისააკიანის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის ავეტიკ ისააკიანის II ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ.
5. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, სოფ.ფონიჭალაში, ილია ჭავჭავაძის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის ილია ჭავჭავაძის I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ.
6. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლის ქუჩის გაგრძელების შესახებ.
7. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ოზაანის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის ოზაანის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ.
8. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, წავკისში, ცხრა ძმა ხერხეულიძის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის ცხრა ძმა ხერხეულიძის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ.
9. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, წავკისში, ვახტანგ გორგასლის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის ვახტანგ გორგასლის IV შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ.
10. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ემირ ბურჯანაძის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის ემირ ბურჯანაძის V შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ.
11. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ალადასტურის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის წარაფის სახელის მინიჭების შესახებ
12. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, ვახტანგ გორგასლის შესახვევისთვის და გასასვლელისთვის არტილერისტის გიორგი გურამიშვილის ქუჩის და გიორგი გურამიშვილის I და II შესახვევების სახელის მინიჭების შესახებ.
13. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, კოჯორში, იუნკერთა და გიორგი კვინიტაძის ქუჩებთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის იუნკერ მაკარ ბურჭულაძის სახელის მინიჭების შესახებ
14. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ჩარგლის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის საზოგადო მოღვაწე აპოლონ ჯინჭარაძის სახელის მინიჭების შესახებ.
15. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ავთო ვარაზის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მომღერალ ნუგზარ აფხაიძის სახელის მინიჭების შესახებ

16. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ფერმწერთა ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მომღერლის, კომპოზიტორ ავთანდილ შარვაძის სახელის მინიჭების შესახებ
17. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ადამ მიცკევიჩის ქუჩასთან მდებარე უსახელო სკვერისთვის მომღერალ თემურ წიკლაურის სახელის მინიჭების შესახებ
18. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ვერის ბაღში მდებარე ჭადრაკის სასახლისთვის მოჭადრაკე, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონის ნონა გაფრინდაშვილის სახელის მინიჭების შესახებ.
19. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, კონსტიტუციის ქუჩისთვის კომპოზიტორის, საზოგადო მოღვაწის გია ყანჩელის სახელის მინიჭების შესახებ
20. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ნავთლუღის II დასახლების IV ქუჩის მონაკვეთისთვის და IV ჩიხისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული ნინო თოიძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ
21. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ნავთლუღის II დასახლების V ქუჩის მონაკვეთისთვის და მასთან არსებული სამი ჩიხისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული ნატო გიორგაძის სახელის მინიჭების შესახებ
22. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ნავთლუღის II დასახლების V ქუჩის მონაკვეთისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული ვენერა მეტრეველის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ
23. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ნავთლუღის II დასახლების IV და V ქუჩების მონაკვეთებისთვის და ერთი ჩიხისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული აზა ადამიას სახელის მინიჭების შესახებ
24. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ქინძმარაულის II შესახვევთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული შესახვევისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული მარინა ჭყონია-სამარგულიანის სახელის მინიჭების შესახებ
25. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ქინძმარაულის ქუჩის II შესახვევის მონაკვეთისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული ნანა სამარგულიანის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ
26. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, მექანიზაციის ქუჩისთვის და მასთან არსებული შესახვევისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული ზაირა კიკვიძის სახელის მინიჭების შესახებ.
27. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, შალვა ცინცაძის I შესახვევის მონაკვეთისთვის და შალვა ცინცაძის ქუჩის გასასვლელის მონაკვეთისთვის, მასთან არსებული გასასვლელისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული ნოდარ ჯანგირაშვილის სახელის მინიჭების შესახებ.
28. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, შალვა ცინცაძის I შესახვევის მონაკვეთისთვის და მასთან არსებული ორი ჩიხისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული მამუკა ნოზაძის სახელის მინიჭების შესახებ
29. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, ტყეკულტურის III შესახვევისთვის 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპული შალვა ქვასროლიაშვილის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ
30. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, სერგი დანელიას ქუჩის გაგრძელების შესახებ
31. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, აჭარის ქუჩის გაგრძელების შესახებ

32. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, მარიკა ბარათაშვილის ჩიხისთვის მარიკა ბარათაშვილის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ
33. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის ორხევის სახელის მინიჭების შესახებ
34. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირთან მდებარე უსახელო ჩიხისთვის წმინდა ქეთევან დედოფლის გამზირის I ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ
35. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, წყნეთში, სოხუმის ქუჩასთან არსებული უსახელო ჩიხისთვის სოხუმის III ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ
36. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, რომან გვენცაძის ქუჩასთან არსებული ოთხი უსახელო ჩიხისთვის რომან გვენცაძის სახელის მინიჭების შესახებ
37. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილის IV მკ/რაიონში, 420-ე კორპუსთან არსებული უსახელო სკვერისთვის ირადიონ (იური) ჩოფლიანის სახელის მინიჭების შესახებ
38. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ქინძმარაულის ქუჩის მონაკვეთისთვის, მასთან არსებული ჩიხისთვის და ქინძმარაულის შესახვევისთვის საქართველოს ეროვნული გმირის ზურაბ იარაჯულის სახელის მინიჭების შესახებ
39. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული სამხედრო ექიმის ლევან მაჭავარიანის სახელის მინიჭების შესახებ
40. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, აეროდრომის დასახლების VIII ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი გასასვლელისთვის გენერალ-მაიორის ზურაბ ნაირაშვილი სახელის მინიჭების შესახებ
41. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, აეროდრომის დასახლების XI ქუჩისთვის გენერალ-მაიორის დავით მაისურაძის სახელის მინიჭების შესახებ
42. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, აეროდრომის დასახლების VII ქუჩისთვის იუსტიციის პოლკოვნიკის ჯემალ გოგიტიძის სახელის მინიჭების შესახებ
43. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიოში, აგარაკის დასახლებაში, შუა მინდვრის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ერეკლე დანელიას სახელის მინიჭების შესახებ
44. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, მარნეულის გზატკეცილთან მდებარე ოთხი უსახელო ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლების ნუგზარ მიხანაშვილის, გია ბერუაშვილის, იური დავითაიას, ფირუზ მოსიძის სახელის მინიჭების შესახებ.
45. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი # 147 ა კორპუსთან მდებარე უსახელო სკვერისთვის 1992 წელს ცხინვალის რეგიონში საომარი მოქმედებების დროს დაღუპული მებრძოლის გოჩა მორჩილაძის სახელის მინიჭების შესახებ.
46. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ორხევში, სერგეი ესენინის ქუჩის მონაკვეთისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ვაჟა ბანეთიშვილის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ;
47. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, სესილია თაყაიშვილის ქუჩასთან არსებული უსახელო პარკისთვის ქართველი შინდლერების სახელის მინიჭების შესახებ

48. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, სულხან ცინცაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის პოეტისა და მთარგმნელის დავით წერედიანის სახელის მინიჭების შესახებ.
49. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, იმერეთის ქუჩის II შესახვევისთვის, იმერეთის I გასასვლელისთვის, იმერეთის II გასასვლელისთვის, იმერეთის IV შესახვევისთვის პოეტის ვაჟიკა ფხოველის სახელის მინიჭების შესახებ.
50. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, მალხაზ დოლიძის ქუჩის მონაკვეთისთვის, წყნეთის გზატკეცილის შესახვევისთვის, მასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის, უსახელო გასასვლელისთვის და ირაკლი უჩანეიშვილის I ჩიხისთვის, ფილოსოფოსის, მწერლის ჯანსუღ კორძაიას სახელის მინიჭების შესახებქ
51. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, უნივერსიტეტის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის, ჯურხა ნადირაძის I შესახვევისთვის და მიხეილ შავიშვილის ქუჩის მონაკვეთისთვის იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, აკადემიკოს ლევან ალექსიძის სახელის მინიჭების შესახებ.
52. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, გუჯარეთის I ქუჩისთვის საზოგადო მოღვაწის დავით ხელთუფლიშვილის სახელის მინიჭების შესახებქ
53. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, დავით გურამიშვილის გამზირთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ტარიელ ფუტკარაძის სახელის მინიჭების შესახებ
54. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ვალერი ჩკალოვის ქუჩისთვის ქირურგის, საზოგადო მოღვაწე იან პრიბილის სახელის მინიჭების შესახებ
55. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, წინანდლის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ძმები ყურაშვილების სახელის მინიჭების შესახებ
56. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ალექსანდრე ალადაშვილის შესახვევისთვის ექიმის, პროფესორის გელა მუხაშავრიას ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ
57. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, სოფელ გლდანში, გრიგოლ ორბელიანის I ჩიხისთვის, მასთან არსებული უსახელო ქუჩისთვის და ორი ჩიხისთვის მსახიობის ბარბარე გამრეკელის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ
58. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, თეოდორე უშაკოვის ქუჩის მონაკვეთისთვის, ნავთლუღის დასახლების VIII ქუჩისთვის და მასთან არსებული სამი შესახვევისთვის მომღერლის ოლღა ბახუტაშვილის სახელის მინიჭების შესახებ
59. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, კახეთის შესახვევისთვის დირიჟორის ოდისეი დიმიტრიადის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ
60. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, პატარა ტბის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი შესახვევისთვის მოჭიდავის ვანო წამალაშვილის სახელის მინიჭების შესახებ
61. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირთან მდებარე ბაღისთვის წიგნის სახელის მინიჭების შესახებ
62. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, დაბა კოჯორში, სატყეოს ქუჩისთვის და მასთან არსებული შესახვევისთვის მონასტრის სახელის მინიჭების შესახებ
63. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, წყნეთში, ნუშის ბაღების ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ნაძვების სახელის მინიჭების შესახებ

64. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, კრწანისის ქუჩის გაგრძელების შესახებ
65. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, რევოლუციის შესახვევისთვის ალექსანდრე მანაგაძის VI ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ
66. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ვასილ ყუშიტაშვილის ქუჩის მონაკვეთისთვის უწერას II შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ
67. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, გაიანე ხაჩატურიანის ქუჩის სამი შესახვევისთვის და ერთი ჩიხისთვის თინა ენუქიძის შესახვევების სახელის მინიჭების შესახებ.
68. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, პეტრე მელიქიშვილის ქუჩისთვის პეტრე მელიქიშვილის გამზირის სახელის მინიჭების შესახებ.
69. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ბოჭორმის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის, დოლაბაურის I ქუჩისთვის, დოლაბაურის III ჩიხისთვის, დოლაბაურის გასასვლელისთვის, დოლაბაურის I ჩიხისთვის საქართველოს ეროვნული გმირის, ალექსანდრე ონიანის სახელის მინიჭების შესახებ.
70. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, თხინვალაში მდებარე უსახელო სკვერისთვის საქართველოს ეროვნული გმირის, გიორგი ანწუხელიძის სახელის მინიჭების შესახებ.
71. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული შვიდი შესახვევისთვის 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მებრძოლის, ლევან დევდარიანის სახელის მინიჭების შესახებ.
72. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, მარინა ჭყონია-სამარგულიანის ქუჩასთან მდებარე უსახელო სკვერისთვის 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მებრძოლის, ილია ბაბუციძის სახელის მინიჭების შესახებ.
73. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ზღვის უბნის დასახლების III მიკრო/რ-ნის, I კვარტალში არსებული უსახელო სკვერისთვის 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მებრძოლის, გიორგი ჯოჯუას სახელის მინიჭების შესახებ.
74. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, თემქის ქუჩისთვის 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მებრძოლის, ლევან ჭოჭუას სახელის მინიჭების შესახებ.
75. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ივერი ფრანგიშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მებრძოლის, კახაბერ თავგორაშვილის სახელის მინიჭების შესახებ.
76. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, შუა მინდვრის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და ოთხი ჩიხისთვის 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მებრძოლის, კობა სერგიას სახელის მინიჭების შესახებ.
77. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, შუა მინდვრის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი ჩიხისთვის 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მებრძოლის, გიორგი ბერიკაშვილის სახელის მინიჭების შესახებ.
78. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, თეოდორე უშაკოვის ქუჩისთვის 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მებრძოლის, გიორგი ღვინიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ.
79. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, თენგიზ შეშელიძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მებრძოლის, ანზორ გელდიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ.

80. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, დიდ ლილოში, კახეთის გზატკეცილთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული ნატალია სამქანაშვილის სახელის მინიჭების შესახებ.
81. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, საცხენისის ქუჩისთვის 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული ჟურნალისტის, გიგა ჩიხლაძის სახელის მინიჭების შესახებ.
82. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული ფოტორეპორტიორის, ალექსანდრე კლიმჩუკის სახელის მინიჭების შესახებ.
83. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, კახეთის გზატკეცილთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული ტელეოპერატორის, სტან სტორიმანსის სახელის მინიჭების შესახებ.
84. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, მარნეულის გზატკეცილთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის მერაბ ნიქაბაძის სახელის მინიჭების შესახებ.
85. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, წავკისში, არჯევან ანანიაშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი ჩიხისთვის იუნკერის, საზოგადო მოღვაწე ნიკოლოზ მათიკაშვილის სახელის მინიჭების შესახებ.
86. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ევროპის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის პირველი მფრინავი ქართველი ქალის ფადიკო გოგიტიძის სახელის მინიჭების შესახებ.
87. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ვაჟა-ფშაველას გამზირთან მდებარე უსახელო სკვერისთვის ნიკო კვარაცხელიას სახელის მინიჭების შესახებ.
88. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, შალვა კოხრეიძის ქუჩისთვის სპორტსმენის ვლადიმერ რუბაშვილის სახელის მინიჭების შესახებ.
89. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ბათლომე ხუციშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის საზოგადო მოღვაწის სოფიო ყულოშვილის სახელის მინიჭების შესახებ.
90. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ბათლომე ხუციშვილის ქუჩის გაგრძელების და ქუჩასთან არსებული ერთი უსახელო ჩიხისთვის ბათლომე ხუციშვილის სახელის მინიჭების შესახებ.
91. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, მალხაზ ჯღარკავას ქუჩასთან მდებარე უსახელო შესახვევისთვის მალხაზ ჯღარკავას I შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ.
92. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ლევან ჩარკვიანის ქუჩასთან მდებარე უსახელო შესახვევისთვის ლევან ჩარკვიანის სახელის მინიჭების შესახებ.
93. „ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, რომან გვენცაძის ქუჩასთან არსებული ოთხი უსახელო ჩიხისთვის რომან გვენცაძის სახელის მინიჭების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 10 ივნისის #288 განკარგულებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ.
94. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, გენო ადამიას ქუჩის გაგრძელების შესახებ